n 32/6 3 cm



უნივერსიტეტის ბეჭედი, რომელიც გამოიყენებოდა უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში (ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმი).
Seal of the University, used in the first years of the founding of the University (Museum of the History of I. Javakhishvili State University of Tbilisi)

ასევე აზრობრივი მნიშვნელობით. დიმიტრი შევარდნაძემ იშხნის მცირე ეკლესიის მორთულობის ცხრამეტი ფიგურა ოცდაოთხამდე შეავსო ისე, რომ არ დაურღვევია სტილური მთლიანობა.

გერბის ამ წნული მოჩარჩოებით ერთმანეთისგან გამოყოფილი და ამავე დროს გაერთიანებული ეს ნაწილი სამყაროს სიმბოლოა, რომლის შესახებ ცოდნის მისაღებად აუცილებელი პირობაა დედაშვილობასავით (ირმები) ჭეშმარიტი, მყარი ერთობლიობა (universitas) მოძღვარსა და მოსწავლეს შორის და უფროსის მიერ უმცროსისათვის სიბრძნის გადაცემა, გამოცდილების გაზიარება.

გერბის ემბლემა ამოტვიფრული იყო უნივერსიტეტის ბეჭედზე, რომლის ესკიზიც 1918 წლის 5 თებერვალს ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მე-4 სხდომამ დაამტკიცა.

გერბი გამოისახება უნივერსიტეტის გამოცემებზე, დიპლომებსა და ბლანკებზე.

**ზურაბ გაიპარაშვილი**

The author of the coat of arms of Ivane Javakhishvili State University of Tbilisi is the artist Dimitri Shevardnadze (1885-1937).

The University's coat of arms is a round escutcheon featuring a doe suckling its young. The composition of the coat of arms is based on the principal detail of openwork buckles of the Classical period.

Behind the doe and her young is a graphic silhouette of the Tree of Life.

The framing, formed of 25 spiral ornaments of the escutcheon, is surrounded by a frame of 24 figures. The figures, embodying realistic or fantastic animals and birds, are placed in angular ornament.

These figures in an angular frame are created according to the architectural adornment of the small church of Ishkhani. The church was built in 1006 by king Gurgen (994-1008). The door of the church of the Mother of God, built of stone of various colors, is adorned with a rich sculptural paneling. Its use in the coat of arms of Tbilisi University is accounted for both on purely artistic and on semantic grounds. This part, at once separated by the framing and united, is a symbol of the world, a necessary condition for obtaining knowledge about which is a genuine, firm unity between teacher and pupil and transfer of wisdom by the elder to the younger and sharing experience, as exemplified by the mother and child relationship (the doe and her young).

The emblem of the coat of arms was stamped on the seal of the University, It appears on the University editions, diplomas and letterheads.

**Zurab Gaiparashvili**

რეცენზენტები: პროფ.**ნიკო ჯავახიშვილი**
საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის წევრი

**დავით კლდიაშვილი**
საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის წევრი

Reviewers: Prof. **Niko Javakhishvili**
Member of the Heraldic Commission under the President of Georgia

**David Kldiashvili**
Member of the Heraldic Commission under the President of Georgia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახური
http://www.tsu.edu.ge/geo/museums.htm

Museum Service of I. Javakhishvili State University of Tbilisi
http://www.tsu.edu.ge/eng/museums.htm

დაიბეჭდა საქართველოს სახალხო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.
Printed by financial support of the People's Bank of Georgia

ISBN 99940-32-82-8

გამომცემლობა „უნივერსალი"
მის.: ჭავჭავაძის გამზ. 1. ტელ. 29-09-60

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# გერბი



# The coat of arms of Ivane Javakhishvili State University of Tbilisi

2005



მხატვარი
დიმიტრი შევარდნაძე
The artist
Dimitri Shevardnadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბის ავტორი — მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო. იგი 1885 წლის 1 დეკემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში დაიბადა, საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო სამხატვრო ცოდნის მისაღებად ჯერ პეტერბურგში გაემგზავრა, შემდეგ კი მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. სტუდენტობის წლებში მას მატერიალურ დახმარებას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება უწევდა.

დიმიტრი შევარდნაძემ საქართველოში დაბრუნებისას საფუძველი ჩაუყარა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას. 1917 წელს ე.წ. ,,დიდების ტაძარში" მისი თაოსნობით კედლის მხატვრობის პირების გამოფენა მოეწყო. ეს შენობა შემდეგ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას გადაეცა, სადაც 1920 წელს საქართველოში სახვითი ხელოვნების პირველი მუზეუმი — ,,საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა" გაიხსნა, რომლის ხელმძღვანელად დიმიტრი შევარდნაძე დაინიშნა. დიმიტრი შევარდნაძე 1937 წელს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა.



ბრინჯაოს ჭვირული ბალთა
(ს. ჯანაშიას სახელობის
სახელმწიფო მუზეუმი).
Bronze open-work buckle
(S. Janashia State Museum
of Georgia)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი წარმოადგენს ბიზანტიურ, იგივე აღმოსავლურ, მრგვალ ფარს, მასზე დატანილია ირემი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს. სამწუხაროდ, თავიდანვე გერბის შავ-თეთრი გრაფიკული ვარიანტი შეიქმნა, მასზე არაა დატანილი ტინქტურა, რაც ასე აუცილებელია გერბის წაკითხვა-ბლაზონირებისა და სემანტიკის დასადგენად.

გერბის კომპოზიციას საფუძვლად უდევს ანტიკური ეპოქის ბრინჯაოს ჭვირული ბალთების მთავარი დეტალი. ბალთები თავისი შინაარსით ბუნების კულტთან დაკავშირებულ მითოლოგიურ კომპლექსს ასახავენ, თუმცა, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, მათზე გამოსახულ სიუჟეტს უკვე დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, ფიგურათა სტილიზაცია იმ საფეხურზეა აყვანილი, რომ ის წმინდა დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს, მთავარი ყურადღებაც სწორედ გამომსახველობას ექცევა.

გვიანანტიკური ხანის შესანიშნავი ძეგლები — ბრინჯაოს ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები წარმოგვიდგენენ წინაქრისტიანული ხანის ქართული მხატვრული მელითონეობის უკანასკნელ ეტაპს და აგვირგვინებენ ამ დარგის ბრწყინვალე ტრადიციებს.

უნივერსიტეტის გერბის ცენტრალური ფიგურა – ირემი ბრინჯაოს ბალთების მიხედვითაა შექმნილი, კომპოზიციის მეორე ელემენტს კი ნუკრის გრაფიკული სახე აქვს მიცემული, ამით ნაწარმოების იდეას ზუსტი ფორმა აქვს მოძებნილი: უფროსის მიერ უმცროსისათვის ცოდნის, სიბრძნის გადაცემის აქტს მინიჭებული აქვს მარტივი, პოეტური და, ამავე დროს, ზოგად პლანში მოაზრებული თაობათა ერთობის სიმბოლური სახე.

ირმებს ფერდებსა და მკერდზე კონცენტრირებული წრეები აქვთ.

ირმების უკან სიცოცხლის ხის გრაფიკული სილუეტია, რომელსაც ძირში და აგრეთთვე დედა ირმის თავის ზემოთ მარცხნიდან და მარჯვნიდან ვაზის სტილიზებური რქები ეყრებიან.

ფარის 25 სპირალისებრი ორნამენტისგან შექმნილ მოჩარჩოებას გარს ერტყმის 24 ფიგურისაგან შემდგარი ჩარჩო. ფიგურები მოთავსებულია კუთხოვან წნულ ორნამენტში, რომლის ტეხილი სტილი და გერბის ფარზე გა-



იშხნის მცირე ეკლესია (ფოტო ლოლიტა ციცხვაიასი).
Small church of Ishkhani (photo by L. Tsitskhvaia)



იშხნის ეკლესიის ჩუქურთმა (ვ. ერმაკოვის ფოტო, ნეგატივი დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).
Ornament of Ishkhani church (photo by V. Ermakov, negative preserved at the Sh. Amiranashvili State Museum of Art)

მოსახული ჩუქურთმების ხვეული ფორმების კონტრასტი მთელ ნაწარმოებს დინამიკას ანიჭებს. ფიგურები რეალისტურ თუ ფანტასტიკურ ცხოველებსა და ფრინველებს განასახიერებენ: ლეოპარდი, ლომი, პეგასი, გრიფონი, დრაკონი, პეგასი, ლომი, ფარშევანგი, პეგასი, ლომი, ცხვარი, მარყუჟებად დახვეული გველი, ანტილოპა, ვეფხვი, პეგასი, ლომი, გრიფონი, მარტორქა, გვირგვინიანი გველი, ბუ, შველი, ლომი, ანტილოპა, ლომი.

კუთხოვან-წნულ ჩარჩოში ჩასმული ეს ფიგურები, რომლებიც ფარის ცენტრის ირგვლივ მოძრაობენ, იშხნის მცირე ეკლესიის ხუროთმოძღვრული მორთულობის მიხედვითაა შექმნილი.

როგორც ცნობილია, დიმიტრი შევარდნაძემ 1917 წლის სამხრეთ საქართველოში მოწყობილ მესამე არქეოლოგიურ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა და სხვა ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან ერთად შეისწავლა იშხნის, ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,იშვიათი სილამაზის კოხტა ეკლესია და მისი არაჩვეულებრივად ფაქიზი, მშვენიერი მორთულობა". ეს ეკლესია 1006 წელს აუშენებია მეფე გურგენს (994-1008 წწ). სხვადასხვა ფერის ქვით ნაშენ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კარს ამშვენებს მდიდარი სკულპტურული თამასა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხოველთა ორნამენტი. აქვე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა და თარიღები ქართული და სომხური წელთაღრიცხვის მიხედვით. წარწერის კამარადშემოვლებული თამასა ქართული სკულპტურული ორნამენტის თვალსაჩინო ნიმუშია, მისი გამოყენება თბილისისი უნივერსიტეტის გერბში აიხსნება როგორც წმინდა მხატვრული,